

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №220

2005 წლის 5 აპრილი

ქ. თბილისი

დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ

[საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილისა](#) და [101-ე მუხლის მე-3 ნაწილის](#)

შესაბამისად, ვბრძანებ:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 თებერვლის ბრძანება №51- ვებგვერდი, 08.02.2011წ.

1. სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად დამქირავებლის ბრძანებით მუდმივი სამუშაო ადგილის ფარგლებს გარეთ – ქვეყნის შიგნით დაქირავებულის მივლინებისას:

ა) სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმა განისაზღვროს 15 ლარის ოდენობით, რომელიც გაიანგარიშება მივლინებაში ფაქტობრივად ყოფნის დღეების მიხედვით, დასვენებისა და სადღესასწაულო, აგრეთვე მივლინებაში გამგზავრებისა და მივლინებიდან დაბრუნების დღეების გამოურიცხავად, ხოლო 30 კმ-მდე მანძილზე მივლინებისას, როდესაც შესაძლებელია სამუშაო (საცხოვრებელ) ადგილზე იმავე დღეს დაბრუნება, ანაზღაურდეს მხოლოდ მგზავრობის ხარჯები;

ბ) მგზავრობისა და ბინის დაქირავების ხარჯების ნორმები განისაზღვრება ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 25 ივლისის ბრძანება №603-სსმIII, №89, 01.08.2005წ., მუხ.1019

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 თებერვლის ბრძანება №51- ვებგვერდი, 08.02.2011 წ.

2. სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად დამქირავებლის ბრძანებით დაქირავებულის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას:

ა) სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო და ბინის დაქირავების ხარჯების ნორმები განისაზღვროს თანახმად დანართი №1-ისა, რომლებიც გაიანგარიშება მივლინებაში ფაქტობრივად ყოფნის დღეების მიხედვით, დასვენებისა და სადღესასწაულო დღეების გამოურიცხავად;

ბ) მგზავრობის ხარჯები ანაზღაურდება შესაბამის მიმართულებაზე არსებული მგზავრობის ღირებულების გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს ეკონომკლასის (ან მისი შესაბამისი კლასის) ბილეთის ღირებულებისა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 27 ივნისის ბრძანება №560- სსმIII, №94 02.07.2007წ., მუხ.1045

3. დაქირავებულის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გრძელვადიანი (30 დღეზე მეტი ვადით) სამსახურებრივი მივლინებისას პირველი 30 დღის განმავლობაში სადღეღამისო ხარჯების ნორმები განისაზღვროს დანართი №1-ის მიხედვით მოკლევადიანი (30 დღემდე ვადით) მივლინებისათვის დადგენილი ნორმებით, ხოლო 30 დღის შემდეგ – ამავე დანართით განსაზღვრულ საზღვარგარეთ საქართველოს დაწესებულებათა მუშაკებისათვის მოკლევადიანი მივლინებისას იმ სახელმწიფოს შიგნით, სადაც ეს დაწესებულება მდებარეობს.

4. თუ დაქირავებულის მივლინებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმღები მხარე უზრუნველყოფს მხოლოდ კვების ხარჯებით, მაშინ მისი სადღეღამისო ხარჯების ნორმა განისაზღვროს დანართი №1-ში გათვალისწინებული სადღეღამისო ნორმის 30 პროცენტის ოდენობით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 25 ივლისის ბრძანება №603-სსმIII, №89, 01.08.2005წ., მუხ.1019

4¹. (ამოღებულია).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 25 ივლისის ბრძანება №603-სსმIII, №89, 01.08.2005წ., მუხ.1019

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №956- სსმIII, №186, 30.12.2008წ., მუხ.1943

4². (ამოღებულია).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 25 ივლისის ბრძანება №603-სსმIII, №89, 01.08.2005წ., მუხ.1019

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №956- სსმIII, №186, 30.12.2008წ., მუხ.1943

4³. (ამოღებულია).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 27 ივნისის ბრძანება №560- სსმIII, №94 02.07.2007წ., მუხ.1045

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №956- სსმIII, №186, 30.12.2008წ., მუხ.1943

4⁴. სამშვიდობო და სხვა სახის ოპერაციების განსახორციელებლად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პერსონალის სტატუსით წარგზავნილ პირთა სამივლინებო ზღვრული ყოველთვიური ნორმები განისაზღვროს „სამშვიდობო და სხვა სახის ოპერაციების განსახორციელებლად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სამოქალაქო პერსონალის სტატუსით წარგზავნილ პირთა და სპეციალური წოდების მქონე პირთა სამივლინებო ზღვრული ყოველთვიური ნორმებისა და სხვა სოციალური პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 აგვისტოს №490 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 27 ივნისის ბრძანება №560- სსმIII, №94 02.07.2007წ., მუხ.1045

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №657-სსმIII, №101, 20.08.2010წ., მუხ.1525

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 ივლისის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 31.07.2020წ.

4⁵. საქართველოს პარლამენტის წევრებისა და პარლამენტის აპარატის თანამშრომლების ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას სადღეღამისო ნორმის დანამატი განისაზღვროს დანართი 3-ის



შესაბამისად.

შენიშვნა: (ამოღებულია).

4⁶. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის, საერთო სასამართლოს მოსამართლის, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლისათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ნორმები განისაზღვროს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №1156- სსმIII, №147, 22.10. 2007წ., მუხ.1651

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 27 ივნისის ბრძანება №560- სსმIII, №94 02.07.2007წ., მუხ.1045

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 18 აპრილის ბრძანება №119 - ვებგვერდი, 24.04.2012წ.

4⁷. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას სადღეღამისო ნორმის დანამატი განისაზღვროს №5 დანართის შესაბამისად

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 25 ივლისის ბრძანება №603-სსმIII, №89, 01.08.2005წ., მუხ.1019

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 8 დეკემბრის ბრძანება №1189- სსმIII, №144, 12.12. 2005წ., მუხ.1600

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 10 მარტის ბრძანება №177- სსმIII, №34, 16.03.2006წ., მუხ.408

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 3 მაისის ბრძანება №444- სსმIII, №63, 08.05.2007წ., მუხ.711

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №1156- სსმIII, №147, 22.10. 2007წ., მუხ.1651

4⁸. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ პირთა გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების ნორმები განისაზღვროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 27 ივნისის ბრძანება №560- სსმIII, №94 02.07.2007წ., მუხ.1045

4⁹. ამ ბრძანების მიზნებისათვის, საჯარო მოსამსახურეთა სამივლინებო ხარჯების ნორმები განისაზღვროს „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №956- სსმIII, №186, 30.12.2008წ., მუხ.1943

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 ივლისის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 31.07.2020წ.

4¹⁰. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში მივლინებული თავდაცვის ატაშეების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებისა და მათი აპარატების თანამდებობის პირთა გრძელვადიანი მივლინების ანაზღაურებისა და შენახვის ხარჯების ყოველთვიური ნორმები განისაზღვროს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 იანვრის №1 ბრძანების №13 დანართის შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 28 აპრილის ბრძანება №121 - ვებგვერდი, 28.04.2015წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 ივლისის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 31.07.2020წ.

4¹¹. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში მივლინებული პოლიციის ატაშეს, უსაფრთხოების ატაშეს, მეკავშირე ოფიცრისა და მათი აპარატების თანამდებობის პირთა მივლინების ანაზღაურების ნორმები განისაზღვროს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსების მიერ დადგენილი წესით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 3 აგვისტოს ბრძანება №245- ვებგვერდი, 04.08.2015წ.

5. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვ. ჩეჩელაშვილი

დანართი №1

ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოკლევადიანი მივლინების დროს დაქირავებულისათვის სადღეღამისო ხარჯებისათვის და საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯების ანაზღაურების ნორმები

სადღეღამისო ხარჯების ნორმები



ქვეყნის დასახელება	უცხოური ვალუტის დასახელება	მოკლევადიანი მივლინებისას	საზღვარგარეთ საქ. დაწესებულების მოსამსახურეთათვის მოკლევადიანი მივლინებისას იმ სახელმწიფოს შიგნით, სადაც მდებარეობს ეს დაწესებულება	დღელამეში ბინის დაქირავების ხარჯების ანაზღაურების ნორმა
1	2	3	4	5
ავსტრალია	ავსტრალიური დოლარი	43	30	135
ავსტრია	ევრო	49	35	89
ავღანეთი	აშშ დოლარი	30	21	75
აზერბაიჯანი	აშშ დოლარი	35	25	125 ბაქოში, 60 დანარჩენ ტერიტორიაზე
ალბანეთი	აშშ დოლარი	48	34	120
ალჟირი	აშშ დოლარი	41	29	45
ამერიკის შეერთებული შტატები	აშშ დოლარი	60	43	235 ნიუ-იორკში, 180 დანარჩენ ტერიტორიაზე
ანგოლა	აშშ დოლარი	44	31	70
ანდორა	შვეიცარული ფრანკი	66	-	109
ანტიგუა და ბარბუდა	აშშ დოლარი	34	-	80
არაბეთის გაერთიანებული საემიროები	აშშ დოლარი	33	23	159
არგენტინა	აშშ დოლარი	35	25	115
ახალი ზელანდია	აშშ დოლარი	40	28	120
ბანგლადეში	ევრო	34	24	63
ბარბადოსი	აშშ დოლარი	31	-	132
ბახრეინი	აშშ დოლარი	31	-	161
ბაჰამის კუნძულები	აშშ დოლარი	32	-	165
ბელარუსი	აშშ დოლარი	35	25	112 მინსკში, 76 დანარჩენ ტერიტორიაზე
ბელგია	ევრო	38	27	165
ბელიზი	აშშ დოლარი	31	-	85
ბენინი	ევრო	36	25	110
ბერმუდის კუნძულები	აშშ დოლარი	37	-	112
ბოლივია	აშშ დოლარი	30	21	50
ბოსნია და ჰერცეგოვინა	აშშ დოლარი	44	31	79
ბოტსვანა	აშშ დოლარი	37	26	118
ბრაზილია	შვეიცარული ფრანკი	54	38	320
ბრუნეი	აშშ დოლარი	31	-	140
ბულგარეთი	აშშ დოლარი	41	29	96
ბურკინა ფასო	ევრო	36	25	65



გაბონი	ევრო	35	25	95
გაიანა	აშშ დოლარი	35	25	159
გამბია	ევრო	28	19	72
განა	აშშ დოლარი	36	25	64
გერმანია	ევრო	57	40	153
გვატემალა	აშშ დოლარი	31	22	98
გვინეა	აშშ დოლარი	43	30	155
გვინეა ბისაუ	აშშ დოლარი	36	25	67
გიბრალტარი	აშშ დოლარი	32	-	64
გრენადა	აშშ დოლარი	32	-	148
დანია	დანიური კრონა	258	181	1070
დიდი ბრიტანეთი	ინგლისური გირვანქა სტერლინგი	27	19	135 ლონდონში, 100 დანარჩენ ტერიტორიაზე
დომინიკის რესპუბლიკა	აშშ დოლარი	31	-	40
ეგვიპტე	აშშ დოლარი	32	22	105
ეთიოპია	ევრო	43	31	51
ეკვატორი	აშშ დოლარი	26	18	155
ეკვატორიალური გვინეა	აშშ დოლარი	35	25	82
ერაყი	აშშ დოლარი	30	21	70
ესპანეთი	ევრო	45	31	134
ესტონეთი	აშშ დოლარი	35	30	120 ტალინში, 61 დანარჩენ ტერიტორიაზე
ვანუატუ	ევრო	34	-	65
ვენესუელა	აშშ დოლარი	39	27	103
ვიეტნამი	აშშ დოლარი	29	20	70
ზამბია	აშშ დოლარი	32	22	87
ზიმბაბვე	აშშ დოლარი	40	28	70
თურქეთი	აშშ დოლარი	43	30	81
თურქმენეთი	აშშ დოლარი	35	25	52
იამაიკა	აშშ დოლარი	34	24	125
იაპონია	იაპონური იენა	12150	8500	21500
იემენი	ევრო	42	29	38
ინდოეთი	აშშ დოლარი	30	21	124
ინდონეზია	აშშ დოლარი	31	22	52
იორდანია	აშშ დოლარი	34	24	102
ირანი	აშშ დოლარი	24	17	62
ირლანდია	ევრო	32	23	150
ისლანდია	აშშ დოლარი	39	27	185
ისრაელი	აშშ დოლარი	49	34	117
იტალია	ევრო	45	32	102
სერბია და ჩერნოგორია	აშშ დოლარი	44	31	100 ბელგრადში, 49 დანარჩენ ტერიტორიაზე



კაბო ვერდე	აშშ დოლარი	34	24	50
კაიმანის კუნძულები	აშშ დოლარი	43	-	85
კამბოჯა	აშშ დოლარი	31	22	65
კანადა	აშშ დოლარი	56	39	135
კატარი	აშშ დოლარი	41	29	95
კენია	აშშ დოლარი	28	20	124
კვიპროსის რესპუბლიკა	ევრო	87	60	145
კოლუმბია	აშშ დოლარი	31	22	59
კომორის კუნძულები	აშშ დოლარი	35	25	34
კონგო	ევრო	41	29	38
კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა	აშშ დოლარი	44	31	38
კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა	აშშ დოლარი	32	22	96
კოსტა-რიკა	აშშ დოლარი	29	20	60
კოტ დიუვარი	ევრო	42	29	98
კუბა	აშშ დოლარი	32	22	70
ლაოსი	აშშ დოლარი	33	23	75
ლატვია	აშშ დოლარი	35	30	121 რიგაში, 62 დანარჩენ ტერიტორიაზე
ლესოტო	აშშ დოლარი	32	22	61
ლიბანი	აშშ დოლარი	25	18	65
ლიბერია	აშშ დოლარი	43	30	39
ლიბია	აშშ დოლარი	24	17	54
ლიტვა	აშშ დოლარი	35	30	142 ვილნიუსში, 91 დანარჩენ ტერიტორიაზე
ლიხტენშტეინი	შვეიცარული ფრანკი	56	-	65
ლუქსემბურგი	ევრო	38	27	102
მადაგასკარი	აშშ დოლარი	39	27	70
მავრიკია	აშშ დოლარი	30	-	75
მავრიტანია	აშშ დოლარი	37	-	35
მაკაო	აშშ დოლარი	28	-	53
მაკედონია	აშშ დოლარი	44	31	117
მალავი	აშშ დოლარი	29	20	44
მალაიზია	მალაიზიური რინგიტი	69	48	200
მალდივი	აშშ დოლარი	23	16	25
მალი	ევრო	34	24	60
მალტა	ევრო	45	32	110
მაროკო	ევრო	36	25	50
მექსიკა	აშშ დოლარი	29	20	102



მიანმა	ევრო	32	22	45
მოზამბიკი	აშშ დოლარი	37	26	45
მოდოვა	აშშ დოლარი	35	25	109 კიშინიოვში, 32 დანარჩენ ტერიტორიაზე
მონაკო	ევრო	38	-	121
მონღოლეთი	აშშ დოლარი	34	24	39
ნამიბია	აშშ დოლარი	41	29	43
ნეპალი	აშშ დოლარი	24	17	45
ნიგერი	ევრო	33	24	60
ნიგერია	აშშ დოლარი	44	31	92
ნიდერლანდები	ევრო	41	29	125
ნიკარაგუა	აშშ დოლარი	33	23	55
ნორვეგია	ნორვეგიული კრონა	252	176	1013
ომანი	აშშ დოლარი	39	27	85
პაკისტანი	აშშ დოლარი	34	24	50
პალაუს კუნძულები	აშშ დოლარი	29	-	50
პანამა	აშშ დოლარი	35	25	93
პაპუა-ახალი გვინეა	აშშ დოლარი	36	25	95
პარაგვაი	აშშ დოლარი	27	-	80
პერუ	აშშ დოლარი	31	21	85
პოლონეთი	აშშ დოლარი	35	25	115
პორტუგალია	ევრო	34	24	127
პუერტო-რიკო	აშშ დოლარი	32	-	120
რუანდა	აშშ დოლარი	37	26	75
რუმინეთი	აშშ დოლარი	37	26	118
რუსეთის ფედერაცია	აშშ დოლარი	50 მოსკოვსა და სანქტ- პეტერბურგში, 35 დანარჩენ ტერიტორიაზე	35 მოსკოვსა და სანქტ- პეტერბურგში, 25 დანარჩენ ტერიტორიაზე	233 მოსკოვსა და სანქტ- პეტერბურგში, 77 დანარჩენ ტერიტორიაზე
საბერძნეთი	ევრო	39	28	98
სალვადორი	აშშ დოლარი	28	-	46
სამოა	აშშ დოლარი	27	-	52
სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა	აშშ დოლარი	41	29	79
სამხრეთ კორეა	აშშ დოლარი	54	38	137
სან-მარინო	ევრო	24	-	81
სან-ტომე და პრინსიპი	აშშ დოლარი	34	24	50
საუდის არაბეთი	აშშ დოლარი	51	35	75
საფრანგეთი	ევრო	56	40	134 პარიზში, 97 დანარჩენ ტერიტორიაზე
საფრანგეთის ზღვისიქითა ტერიტორია	ევრო	38	-	84



სეიშელის კუნძულები	ევრო	47	33	128
სენეგალი	ევრო	38	27	65
სენტ-ლუსია	აშშ დოლარი	32	22	133
სვაზილენდი	აშშ დოლარი	27	-	83
სიერა-ლეონე	აშშ დოლარი	33	23	31
სინგაპური	სინგაპურული დოლარი	64	45	288
სირია	აშშ დოლარი	34	24	61
სლოვაკეთი	აშშ დოლარი	24	17	89
სლოვენია	აშშ დოლარი	44	31	80
სომალი	აშშ დოლარი	39	27	25
სომხეთი	აშშ დოლარი	35	25	105 ერევანში, 53 დანარჩენ ტერიტორიაზე
სუდანი	შვეიცარული ფრანკი	60	42	125
სურინამი	აშშ დოლარი	51	36	90
ტაივანი	აშშ დოლარი	28	20	120
ტაილანდი	შვეიცარული ფრანკი	61	43	115
ტანზანია	აშშ დოლარი	39	27	75
ტაჯიკეთი	აშშ დოლარი	35	25	67 დუშანბეში,



		35	25	15 დანარჩენ ტერიტორიაზე
ტოგო	ევრო	36	25	34
ტონგა	აშშ დოლარი	27	-	78
ტრინიდადი და ტაბაგო	აშშ დოლარი	34	-	135
ტუნისი	ინგლისური გირვანქა სტერლინგი	24	17	35
უგანდა	აშშ დოლარი	36	25	75
უზბეკეთი	აშშ დოლარი	35	25	100 ტაშკენტში, 60 დანარჩენ ტერიტორიაზე
უკრაინა	აშშ დოლარი	35	25	185 კიევში, 82 დანარჩენ ტერიტორიაზე
უნგრეთი	აშშ დოლარი	27	19	165
ურუგვაი	აშშ დოლარი	27	19	44
ფილიპინები	აშშ დოლარი	28	20	105
ფინეთი	ევრო	39	27	110
ფიჯი	აშშ დოლარი	27	-	58
ქუვეითი	ქუვეითური დინარი	8	6	45
ყაზახეთი	აშშ დოლარი	40	28	160 ალმა-ათასა და ასტანაში, 45 დანარჩენ ტერიტორიაზე
ყირგიზეთი	აშშ დოლარი	35	25	189 ბიშკეკში, 55 დანარჩენ ტერიტორიაზე
შვეიცარია	შვეიცარული ფრანკი	80	56	191
შვედეთი	შვედური კრონა	310	220	750
შრი-ლანკა	შვეიცარული ფრანკი	49	34	95
ჩადი	ევრო	40	13	65
ჩეხეთი	აშშ დოლარი	35	25	165
ჩილე	აშშ დოლარი	28	20	91
ჩინეთი	აშშ დოლარი	30	20	131
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	ევრო	44	31	70
ხორვატია	აშშ დოლარი	44	31	154 ზაგრებში, 60 დანარჩენ ტერიტორიაზე
ჰაიტი	აშშ დოლარი	34	-	60
ჰონდურასი	აშშ დოლარი	31	-	57

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 27 ივნისის ბრძანება №560- სსმIII, №94 02.07.2007წ., მუხ.1045
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 23 აპრილის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 23.04.2014წ.

დანართი №2

(ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 25 ივლისის ბრძანება №603-სსმIII, №89, 01.08.2005წ., მუხ.1019



საქართველოს პარლამენტის წევრებისა და პარლამენტის აპარატის თანამშრომლების ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას სადღეღამისო ნორმის დანამატი

№	მოსამსახურეთა თანამდებობრივი დასახელება	სადღეღამისო ნორმაზე დანამატის ოდენობა პროცენტობით
1	პარლამენტის თავმჯდომარე	100
2	პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე	90
3	პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე	80
4	პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე, უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერები, საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიების თავმჯდომარეები	50
5	საპარლამენტო დელეგაციის თავმჯდომარე	50
6	პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილე, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერთა მოადგილეები და მდივნები, საპარლამენტო ფრაქციის მდივანი, საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიების თავმჯდომარეთა მოადგილეები და მდივნები, პარლამენტის წევრი, პარლამენტის აპარატის უფროსი	45
7	პარლამენტის აპარატის უფროსის მოადგილე, პარლამენტის აპარატის დეპარტამენტის უფროსი, პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი, საბიუჯეტო ოფისის უფროსი, მანდატურთუხუცესი	40
8	პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსის მოადგილე, კომიტეტის აპარატის უფროსი, პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე, მთავარი ბუღალტერი, სასწავლო ცენტრის უფროსი, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილის სამდივნოთა უფროსები, პარლამენტის აპარატის უფროსის სამდივნოს უფროსი, განყოფილების უფროსი	35

შენიშვნები:

- საპარლამენტო დელეგაცია არის ის დელეგაცია, რომელსაც მიენიჭა საქართველოს პარლამენტის სახელით გამოსვლის უფლება.
- საქართველოს პარლამენტის წევრს და პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეს (ერთზე მეტი თანამდებობის დაკავების შემთხვევაში) უფლება აქვთ მიიღონ დანართი №3-ით გათვალისწინებული სადღეღამისო ნორმის მხოლოდ ერთი, უფრო მაღალი დანამატი.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მივლინების პირველ სამ დღეზე (თითოეულ ქვეყანაში) სადღეღამისო ნორმის დანამატი (თითოეულ დღეზე) განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:
 - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისათვის – 230 ევროს ეკვივალენტით შესაბამის ვალუტაში;
 - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილისათვის – 200 ევროს ეკვივალენტით შესაბამის ვალუტაში.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილესა და მოადგილეს, უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერებს, კომიტეტის თავმჯდომარეს, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარეს, საპარლამენტო დელეგაციის თავმჯდომარესა და საპარლამენტო დელეგაციის წევრს სასტუმროში დაქირავებული ნომრის ღირებულება აუნაზღაურდებათ ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთების შესაბამისად.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილესა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით საპარლამენტო დელეგაციების წევრებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას მგზავრობის ხარჯები აუნაზღაურდებათ ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთების შესაბამისად.
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესა და პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას კავშირგაბმულობის ხარჯები აუნაზღაურდებათ ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთების შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 10 მარტის ბრძანება №177- სსმIII, №34, 16.03.2006წ., მუხ.408
 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 12 ივნისის ბრძანება №595- სსმIII, №81, 15.06.2006წ., მუხ.1065
 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №956- სსმIII, №186, 30.12.2008წ., მუხ.1943
 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ნოემბრის ბრძანება №564 - ვებგვერდი, 09.11.2011წ.



დანართი №5

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას სადღეღამისო ნორმის დანამატი:

№	მოსამსახურეთა თანამდებობრივი დასახელება	სადღეღამისო ნორმაზე დანამატის ოდენობა პროცენტებით
1	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე	100
2	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე	85
3	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი	80

შენიშვნა:

1. თუ მივლინების ხანგრძლივობა 3 დღეზე ნაკლებია ან 3 დღეა:

ა) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის სადღეღამისო ნორმის დანამატი განისაზღვროს 280 აშშ დოლარის ეკვივალენტით შესაბამისი ვალუტით;

ბ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების სადღეღამისო ნორმის დანამატი განისაზღვროს 130 აშშ დოლარის ეკვივალენტით შესაბამისი ვალუტით.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას მგზავრობისა და სასტუმროში დაქირავებული ნომრის ღირებულება აუნაზღაურდებათ ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთების მიხედვით, წლიური საბიუჯეტო კანონით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს აუნაზღაურდება ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივ მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის დაქირავებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები, წლიური საბიუჯეტო კანონით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №1156- სსმIII, №147, 22.10.. 2007წ., მუხ.1651

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 24 ივლისის ბრძანება №480- სსმIII, №93, 28.07.2009წ., მუხ.979

